დმანისის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108232869**

თარიღი:**13/10/2023**

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ვაკეში, ბოსლებში და საფარლოში დასახლების საერთო კრების ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-13 პუნქტის, “დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ” დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 იანვრის N2 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-8 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასახლების საერთო კრება ჩატარდეს 2023 წლის 2 ნოემბერს დმანისის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში:

ა) ბოსლები - 12:00 საათზე;

ბ) ვაკე - 14:00 საათზე;

გ) საფარლო - 16:00 საათზე.

2. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილებას, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სოფლებში, უზრუნველყოს დასახლების საერთო კრების ორგანიზება, სოფლის მაცხოვრებლების ინფორმირება და კანონმდებლობით დადგენილი წესით, კრების ორგანიზებისათვის და ჩატარებისათვის აუცილებელი დოკუმენტების შედგენა.

3. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ განყოფილებას, უზრუნველყოს დასახლების საერთო კრების ჩატარებისათვის იურიდიული მხარდაჭერა.

4. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების, დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის, გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება დმანისის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი